ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 მარტი, შაბათი, 1990 წ.
№ 47 (10 216) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

● ვის ვირჩევთ დეპუტატად? 1-4 გვ.

● სპორტი ყველგან, ყველასათვის მე-2 გვ.

● დაიბრუნებს ავტორიტეტს ჩვენი კალოსნობა? მე-2-3 გვ.

● ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტები იაკუშინი და ბეხკოვი პრობლემებთან პირისპირ მე-3 გვ.

● კალეიდოსკოპი გვთავაზობს მე-4 გვ

შევხვდეთ დიდ დღეობაში

გოლო ხანებში დიდი დღეობის მოსახლეობაში მითქმა-მოთქმა არ ცხრება, (საკითხი დეპუტატობის კანდიდატებთან წინასაარჩევნო შეხვედრებზეც დაისვა), ამ დასახლების ტერიტორიაზე კეტბურთის მოედნის გაშენების სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით. მოედნის მოწყობა დაწყებულია 186-ე საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიასთან.

მოსახლეობის ერთი ნაწილი მოითხოვს საქმეში ჩაერიოს „ლელოს“ რედაქცია. კორესპონდენტი ეწვია მშენებარე ობიექტს, მაგრამ მიღებული ინფორმაცია საკმარისად არ მიგვაჩნია. საჭიროა საბურთალოს რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობა, რაიონის არქიტექტორი, კეტბურთის მოედნის პროექტის ავტორი (შესაბამისი ნახაზებით და დოკუმენტებით), ფედერაციის წარმომადგენლები, მშენებლები, საერთოდ ყველა, ვისაც რაიმე კავშირი აქვს ამ მოედნის მშენებლობასთან, შეხვდნენ მოსახლეობას. ეს აუცილებელია, რათა ადგილზე ობიექტურად ვირკვეს ყველა სადაო საკითხი. ცხადია, ამ შეხვედრაზე „ლელოს“ რედაქციაც იქნება წარმოდგენილი.

შეხვედრის დღეა სამშაბათი, 13 მარტი, დილის 11 საათი, ადგილი — დიდი დიღომი, 186-ე საშუალო სკოლა.

რამდენიმე დღეს წინ გაიმართა საქართველოს თახის გათამაშება ტუვიის ხროლაში. მშ-5 ვარჯიშში რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელმა ხათუნა ბერიკაშვილმა (644 ქულა), რომელსაც ამ სურათზე ხედავთ. მახალას ზემოხსენებულ ასპარეზობის შესახებ გაზეთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში იხილავთ.

ვიქტორ ბუკიას ფოტო.

ორივე გუნდი საპრიზო ადგილზე



ჭაბუკ მოკრივეთა ამ ასპარეზობას არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს და საქართველოს წარმომადგენლები მისი გამარჯვებულები და პრიზიორები არიან. ლაპარაკია „შრომითი რეზერვების“ ოლიმპიური რეზერვის სკოლებისა და სპეციალური ჯგუფების საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაზე, რომელიც ამჯერად უზბეკეთის ქალაქ ანგრენში ჩატარდა. აქ 205 მონაწილეს შორის გამოდიოდნენ საქართველოს „მართველსა“ და განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის რესპუბლიკური სკოლის აღსაზრდელები. საქართველოს ექვსმა წარმომადგენელმა გზა გაიკაფა ფინალისაკენ და ფაქტიურად ისინი პირველ და მეორე ადგილებისათვის იბრძოდნენ. თავი ისახელა კოტე მაღრაძემ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა. კრივის სკოლა), რომელმაც ქვემსუბუქ წონაში აჯობა მოსკოველ ქამილჯან შუქუროვს და ჩემპიონობა მოიპოვა. კრივის სპეციალისტებზე კარგი მთაბეჭდილება დატოვა ხობელმა გოჩა რუსიამ (52 კგ, „მართველ“). მან სულ მცირე უპირატესობით დაუთმო ფინალური ბრძოლა მოსკოველ სერგეი შჩერბაკოვს. თბილისელმა თამაზ ხდრიანმა (54 კგ) მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

საპატიო მეორე ადგილებზე გავიდნენ გორელი დავით ავაზნელი (63 კგ), თბილისელი იური ამოევი (66 კგ, ორივე „მართველ“), აგრეთვე გორელები დავით ჯანაშვილი (79 კგ), გიორგი კანდელაკი (85 კგ, ორივე განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა).

„მართველმ“ გუნდური მეორე ადგილი მოიპოვა (მწვრთნელები საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ტ. ვერულაშვილი, თ. კორძახია). საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის აღსაზრდელებს კი საპატიო მესამე ადგილი ხვდათ წილად (მწვრთნელები არიან საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები რ. კვაჭაძე და გ. ცხადაია).

არჩევანი კიდევ მრჩობლიანი

ჩვენ გვგონია, რომ ამ 16 წლის ჭაბუკის ცხოვრებაში ხულ მალე უნდა დადგეს დრო, როცა მან არჩევანი უნდა გააკეთოს ფლეიტაზე დაკვრახა და ჩოგანს შორის, ერთ-ერთი გამოარჩიოს და ცხოვრების „მეგზურად“ გაიხადოს. მაგრამ დათო ოძელაშვილი ჯერჯერობით ვერც ერთს ვერ ელევა და მუსიკაშიც და სპორტშიც თანაბარი წარმატებები აქვს.

მას, ამ ორ საქმეს შეჭიდებულ ყმაწვილს ტკბილი ცხოვრება არა აქვს. მაგალითად, იმის გამო, რომ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლე გდრ-ის ქალაქ მარკნოიკირხენის ჩასაბერ საკრავთა საერთაშორისო კონკურსის შერჩევით ტურზე იმყოფებოდა მოსკოვში, თბილისის ჭაბუკთა პირველობაზე ვერ გამოვიდა. ამის გამო 1974-75 წლებში დაბადებულთა ღია რესპუბლიკურ პირველობაზე, რომელიც ახლახან დამთავრდა, მას შერჩევითი ტურნირი უნდა გაევლო, აქ დათომ თავი გამოიჩინა და ამის შემდეგ ჩართეს ძირითად ასპარეზობაში. ქართველ მოზარდებთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ერევნის, ვოლგოგრადისა და ტაშკენტის წარმომადგენლები.

დ. ოძელაშვილს არც აქ შეურცხვენია თავი და ზედიზედ ჩამოიცილა ფინალისკენ მიმავალი გზიდან ძლიერი მეტოქეები, კერძოდ, თბილისის ოლიმპიური რეზერვის სკოლის აღსაზრდელი გ. კოსტავა, დინამოელი ი. რუხაძე, შევარდნელი გ. ბერიაშვილი და დასკვნით შეხვედრაში სსრ კავშირის ნაკრების წევრ მიხეილ მღებროვის პირისპირ დაგა. დ. ოძელაშვილმა უ. ორტაბრეგა დამაჯერებლად მოიგო — 4:6, 6:2, 6:2 და უძლიერესის სახელს დაეუფლა. ამ ასაკის გოგონების ტურნირი მოიგო ლიკა ქელეხსაევამ („შევარდენი“), უმცროსებში (1976-77 წ. დბ.) დინამოელმა მაკა წიწუაშვილმა არავის დაუდო ტოლი და გაიმარჯვა. ჭაბუკებში მისმა თანაკლუბელმა დათო გოგილაშვილმა აჯობა ყველას.



დ. ოძელაშვილი მალე ბექა ძაგნიასთან ერთად იუმალის კორტებზე გამოვა 1972-74 წლებში დაბადებულთა საკავშირო ჩემპიონატში. მაისში კი გდრ-ში გაემგზავრება მუსიკოსთა კონკურსზე.

• • •

სურათზე: დ. ოძელაშვილი.

დამოუკიდებლობის თასი

ასეთი სახელწოდებით იშვა კალათბურთელთა ახალი ასპარეზობა ბალტიისპირეთში. ამ შეჯიბრების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანეს ვილნიუსში, სადაც ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის კალათბურთის ფედერაციების პრეზიდენტების მონაწილეობით შეიქმნა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების საკალათბურთო ასოციაცია.

დამოუკიდებლობის თასი გათამაშდება ყოველწლიურად როგორც ქალებისთვის, ისე ვაჟებისთვის.

მატჩი დაიწყო

მალაიზიის დედაქალაქ კუალალუმპურში დაიწყო საჭადრაკო მატჩი მსოფლიო პირველობის პრეტენდენტებს ანატოლი კარპოვსა და იან ტიმანს შორის. ორი პარტიის შემდეგ დაწინაურდა კარპოვი — 1,5:0,5.

საშუარი საქმე

საქართველოში იმყოფებოდა საფრანგეთის მოქალაქე ალექსის ვლასოვი. იგი დედით ქართველია — ნუცუბიძე-ხონელიძე. ბატონ ალექსისს დიდი სურვილი აქვს ქმედითი დახმარება გაუწიოს დედულეთს. მისი ინიციატივით გადაღებული იქნება ფილმი, რომელიც რაკლამას გაუწევს საქართველოს, როგორც სამთო-სათხილამურო, სამთამსვლელო კურორტების ქვეყანას. გარდა ამისა, ბატონ ალექსისს ჩაფიქრებული აქვს შექმნას ექსტრემალური პირობების სალაკვიდაციო ჯგუფი საერთაშორისო სტატუსით. განზრახულია, ყველაფერი ეს ექიმთა ასოციაციის ეგიდით შეიქმნას. ამ ფრიად კეთილშობილურ მიზანს, იმედია, მალე გამოეხმაურება ქართველი საზოგადოებრიობა, რათა მოსალოდნელ სტიქიურ ან დაგეგმილ უბედურებას კვლავ უღონოდ და მოუმზადებლად არ შეეხვდეთ.

ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო!

საქართველოს ექიმთა ასოციაციის გაზეთი „მოამბე“ № 1 (2), 1990 წ.

წინადადება

ბორის პაიჭაძის სახელობის...

თუ ქართული ფეხბურთია, ბოლომდე ქართული იყოს!

შემოვდივარ წინადადებით თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონს ეწოდოს ბორის პაიჭაძის სახელობის რესპუბლიკური სტადიონი!

დარწმუნებული ვარ, სწორი იქნება, თუ ქვეყნის მთავარ სტადიონს სწორედ სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული კაცის, შესანიშნავი მოქალაქისა და მამულიშვილის სახელს ვუწოდებთ. მით უმეტეს, რომ წლეულს მადლიერი ქართული ერი ბორის პაიჭაძის 75 წლის იუბილეს აღნიშნავს.

ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე დავძენ, რომ სტადიონს წინა ჭუჩას, რომელიც ამჟამად ტელმანის სახელს ატარებს, ასევე გადავარქვათ სახელი და მასაც ბორის პაიჭაძის ჭუჩა ვუწოდოთ.

კიდევ ერთი: მოდით, დავივიწყოთ ჩიქორთული სიტყვა გულშემატკივარი, რომელიც დედინაცვლის ენიდან ყურით მოთრეული კალკია და მის ნაცვლად შემოვიღოთ ფეხბურთელი, ე. ი. ფეხბურთის ჯიში, ფეხბურთით გახელებული. ვგონებ ლამაზად ჟღერს — ფეხბურთელები და ფეხბურთხელები!

გულშემატკივარს, ცხადია, სპორტის სხვა სახეობების ქომაგებსაც ვეძახით, მაგრამ ჩვენ ეს სიტყვა ახლა ფეხბურთში მაინც შევცვალოთ.

ზურაბ რატიანი,
ყოფილი ფეხბურთელი.

დეპუტატობის კანდიდატები

ორმხრივ სასარგებლო

დღევანდლამდე სპორტსმენების დეპუტატებად დასაზელება მათ მიმართ ერთგვარი რევერანსის გარდა გარკვეული მოსაზრებით ხდებოდა: ყველასთვის ცნობილი პიროვნებები, ეტყობა, „უხდებოდნენ“ საყრილობო ინტერიერს. სხვა მხრივ კი, იქნებ სპორტსმენს სხვებზე ნაკლები გზნებით დაეკრა ტაში ქვეყნის „ლიდერებისთვის“, თორემ მისი ფუნქცია მაინც იგივე იყო.

ჩვენ ახლაც არ ვიცით, რას მოგვიტანს წლევანდელი არჩევნები, მაგრამ, ვინც გადაწყვიტა მასში მონაწილეობა, მათ არც სპორტსმენები უნდა დარჩეთ თვალთახედვის მიღმა, ცხადია, არა ძველებურად ტაშის დასაკვრელად, არამედ — ავტორიტეტისა და, აქედან გამომდინარე „ხადეპუტატო პოტენციის“ გამო (რაც უნდა იყოს, ახლა რამდენადმე სხვაგვარი მდგომარეობაა და უკვე შეიძლება მოვთხოვოთ დეპუტატებს თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესრულება).



საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, ვისზედაც ამ წერილში გვექნება საუბარი, ისეთი წარმატებები არ მოუპოვებია სპორტში, რომ ყველამ იცოდეს მისი ვინაობა, მაგრამ, მაინც ვფიქრობთ, სპორტული წრეები მას „თავიანთ კაცად“, თავიანთ დეპუტატად ჩათვლიან.

კობა გელაშვილი სპორტის ოსტატია თავისუფალ ჭიდაობაში, იყო საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონი, და საკავშირო შეჯიბრებების პრიზიორი. დეპუტატად იგი მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტიდან დაასახელეს დიდუბის №13 საარჩევნო ოლქში (მუშაობს საქმთავარმონტაჟსპეცმშენის პროფკავშირის ფაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარედ).

სპორტს ძალიან ადრე, ოცი წლის ასაკში ჩამოშორდა, მაგრამ არა სიზარმაცის გამო. უკიდურესად შრომისმოყვარე მოჭიდავის მიერ ვარჯიშზე დახარჯული კალორიების რაოდენობა აშკარად აჭარბებდა კომპენსაციას და ასეთმა მავნე დეფიციტმა ჯანმრთელობაც შეურყია, რაც აქტიური სპორტიდან მისი ნაადრევი წასვლის მიზეზი გახდა. მოკლედ, კობა გელაშვილმა საკუთარ თავზე გამოსცადა სოციალური უსამართლობა და მით უფრო დარწმუნებულია იმ ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობაში, რომლებიც, როგორც დეპუტატობის კანდიდატს, თავის წინასაარჩევნო პროგრამაში აქვს ჩამოყალიბებული.

მის სრულ პროგრამას აქ, ჩვენი გაზეთის სპეციფიკის გამო, ცხადია, ვერ წარმოგიდგენთ, თუმცა მოკლედ კი შეგვიძლია გაგაცნოთ: ეს არის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის-

იხ. მე-4 გვ.

სპორტი ყველაზე, ყველასათვის

ფუნეთის
სპორტული იერი

დარბაზიც რომ იყოს...

დაბა ფუნეთის ახალგაზრდობა დიდი ხანია ოცნებობდა, ჭერქონე საფეხბურთო მინდორი. ახალგაზრდები ხან პიონერთა ბანაკ „მზიურის“ მარტივი ტიპის მოედანზე თამაშობდნენ (ისიც ივნისამდე, სანამ ბანაკი დამსვენებელთა კონტინგენტს მიიღებდა), ხან სკოლის ეზოში გაგაორებდნენ ბურთს. ბოლოს, როცა ყველას თავი მოაბეზრეს, ბიჭებმა გადაწყვიტეს, თავად მოეწყოთ მოედანი. ზემო ფუნეთში შეარჩიეს შესაფერისი ტერიტორია, გაწმინდეს ეს ქვაღორღანი ადგილი, თვითონვე ჩასაეკვლევლები, შეიძინეს ბადეები და ხის ბოძები, ბიჭებმა გადაწყვიტეს, თავად მოეწყოთ მოედანი. ზემო ფუნეთში ბეჭედი ბიჭებმა.

1986 წლის ზაფხულში ფუნეთის პიონერთა ბანაკს ერთ-ერთი ჩინოსანი სტუმარი ეწვია. ახალგაზრდებიც იქ დახვდნენ, თავიანთი გაცაკერი შესრულეს და... 24 დღეში მზად იყო სტანდარტული ზომის საფეხბურთო მოედანი. გასახდელები და საშხაპეები, მარტივი ტიპის კალაბურთის მოედანი. ორივე მოედანი შემოღობეს, მიეშენეს დამხმარე სათავსები და მსაჯთა ოთახი. ინვიანთი ინპრაფუოლოგია და... ნაცნობი სურათი. იმ თანამდებობის პირის ჩარევამდე ზომ ბიჭებმა ყველა შესაბამისი ინსტანციები შემოიარეს და ვინ აღარ შეაწუხეს მოედნის გულისთვის.

ახლა კი აწმყოში გადმოვნაცვლოთ და ვნახოთ, რა მდგომარეობაშია ახალგაზრდების ახლანდელი ოცნება — ფუნეთის სპორტული კომპლექსი.

საშხაპეები ერთი ნაკლი იმთავითვე ჰქონდა — ისინი ზზის სითბოზე მუშაობენ. გაზაფხულზე და შემოდგომაზე (რა თქმა უნდა, ზამთარშიც) ზზის სხვეული სათანადოდ ვერ ათბობს წყალს. ფუნეთის ვუდი თბილისის პირველის I ჯგუფში გამოდის, მეტოქეებს ხშირად საკუთარ მოედანზე იღებს, სტუმრის გაოფლილი, დაუბანელი ვაჭვეტი ან ვერაფერი მასპინძლობაა. ასე რომ, ერთხელ გაკეთებული საქმე ხელახლა გასაკეთებელია.

კომპლექსის მარტივი ტიპის სპორტული მოედანზე სითუზური საფარი თითქმის მთლიანად აყრილია, კალათურთის ფარი — ჩამოგლეჯილი, ღობეებიც მორღვეულია, არც საფეხბურთოთი მოედანია კარგ დღეში. ოფიციალურად საექსპლოატაციოდ გადაცემულ ობიექტს რემონტი მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეიძლება გაუკეთდეს. კანონი კანონია, მაგრამ ღობის „შეკეთება“ არა გვგონია დიდი პრობლემა იყოს წყნეთის სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელობისთვის (დირექტორი — ვლადიმერ დოლიძე), რომელიც შეფობს სპორტკომპლექსს.

აქ ისიც უნდა თქვას, რომ სპორტული კომპლექსი (დირექტორი ვაჟა ოძელაშვილი) სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა და ავად თუ კარგად, საკუთარ თავს თვითონვე ინახავს. ამასაც ეწინააღმდეგებიან ფეხბურთში, მაგრამ, სეზონურად. ზამთარში წყნეთის სუსხი და დიდთოვლობა ხელს უშლის მოვარჯაგეებს. მხოლოდ ოროიდე ენთუზიასტები უჯერებს, ვაჟა მასწავლებელს და წყნეთის სამფალო სკოლის დარბაზში ვარჯიშობს, სადაც არც ფართობია საკმარისი და არც სხვა პირობები. ვარჯიშიც გაკეთილების დამთავრების შემდეგ ზღვა შესაძლებელი.

ამიტომ ბავშვები იძულებული არიან თბილისში უფრო კომფორტულ დარბაზებს ე

ორმხრივ სასარგებლო

(დასასრული)

თვის ბრძოლა (დასაშვები საშუალებებით, რასაკვირველია), ამ მიზნის მისაღწევად მუშაობა ყველა პოლიტიკური ძალისა და გაერთიანების (მათ შორის არარეგისტრირებულის) კონსოლიდაციისთვის, აგრეთვე ეროვნული საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბებისთვის... კობა გელაშვილის პროგრამაში, ცხადია, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სოციალურ საკითხებს, კერძოდ, არალოგიკური და ურთიერთგამმრიცხავი სახელმწიფო პროგრამებისა და დოკუმენტების გაუქმებას, რომლებიც არ შეესაბამება სოციალური სამართლიანობის პრინციპს, ინფლაციასა და ფასების მომატებასთან დაკავშირებით შესაბამის კომპენსაციას მოსახლეობის სასარგებლოდ. საერთოდ, სოციალური გარანტიების შემოღებას, რათა აღნიშნულმა ცვლილებებმა ხალხის ცხოვრების დონე არ დააქვეითოს, შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფას, სამუშაო დღის შემცირებას იმ დედებისთვის, რომლებსაც ჰყავთ 10 წელზე უმცროსი ასაკის ბავშვები, სხვა სახის დახმარებას ჩვილბავშვიანი დედებისთვის და ა. შ.

აქ ჩამოთვლილი საკითხები მეტად საჭირბოროტოა თითოეული ჩვენგანისათვის, მაგრამ, ისევ ჩვენი გაზეთის სპეციფიკის გამო, პირველ ყოვლისა გვაინტერესებდა, ეთმობა თუ არა ადგილი ყოფილი სპორტსმენის პროგრამაში ფიზკულტურასა და სპორტს, მით უმეტეს, რომ მათი განვითარება და ხელშეწყობა პროფკავშირების ერთ-ერთი ამოცანაა.

ვიდრე უშუალოდ დიალოგზე გადავიდოდეთ, წინასწარ ვიტყვით, რომ კობა გელაშვილის ნდობით აღჭურვილ პირთა შორის არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები დავით გობეჯიშვილი და თემურ უაზარაშვილი. საუბარიც სწორედ აქედან დაიწყო.

● რატომ მაინცდამაინც გობეჯიშვილი და უაზარაშვილი?..

— ორივეს ძალიან კარგად ვიცნობ, დათო კი, შეიძლება ითქვას, ჩემს თვალწინ დავაჟკაცდა. მოხარული ვარ, რომ მას დავეხმარე ცხოვრების მძიმე წუთებში.

● იქნებ კონკრეტულად გვითხრათ ამის შესახებ.

— ჩვენთან რომ სპორტსმენებს, სხვების მსგავსად, სოციალური გარანტიები არ გააჩნიათ, ეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, მაგრამ ისინი ხშირად მორალურადაც იჩაგრებიან. ამისთვის ზოგჯერ ერთი მარცხიც საკმარისია.

მაშინ დათომ მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონატში და კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს თავს, ჩემპიონს ეს როგორ მოუვიდაო. არადა, ერთი წლით ადრე მან, 22 თუ 23 წლისამ, საოცრად იოლად მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი. ასეთი რამ კი ახალგაზრდაზე მუდამ მოქმედებს. მაგრამ მაშინ ისე შეუტიეს დათოს, ლამის თავი მიანება ჭიდაობას.

სწორედ იმ დროს ვურჩიე, ოჯახს მოჰკიდებოდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ პასუხისმგებლობა ოჯახის წინაშე, აგრეთვე ოჯახის მორალური მხარდაჭერა, სასიკეთოდ იმოქმედებდა მასზე. დათო იმ ნაბიჯით ახლაც ძალიან კმაყოფილია, შედეგებს კი თვითონაც კარგად ხედავთ.

● დღემდე ჩვენი პროფკავშირი ადმინისტრაციის დანამატი იყო და არა მშრომელთა ინტერესების დამცველი ორგანიზაცია. ვიდრე ეს არ შეიცვლება, პროფკავშირი ვერავითარ სოციალურ ამოცანებს ვერ გადაწყვეტს. მათ შორის მახობრივ ფიზკულტურასა და სპორტშიც.

— მგონია, რომ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ არც ერთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, არც ერთ სახელმწიფო, თუ სამეურნეო მმართველ მექანიზმს არ შეუსრულებია ის მისია, რომელსაც მას საკუთარი ხალხი აკისრებს. ეს ალბათ იმიტომ ხდებოდა, რომ არც ერთი მათგანი ბუნებრივად არ შექმნილა, ისინი მშრომელ ხალხს არ აურჩევია, თუმცა ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მუდამ ხალხის სახელით ლაპარაკობდნენ. იმ „სოციალიზმის მონაპოვარში“, რომლითაც ისინი ამყრობდნენ, ხალხისთვის სასარგებლო ძალზე ცოტა იყო. პრაქტიკულად მოიშალა სამართლიანობის პრინციპი, პროფკავშირს კი არაფრის გაკეთება არ შეეძლო, რადგან დიქტატს ვერ ძლევდა. მაგალითად, მან გაუმართლებელი პასიურობა გამოიჩინა 9 აპრილის ტრაგედიის წინა დღეებში და შემდეგშიც.

ამასთან, პროფკავშირს არასდროს არ ჰქონია არავითარი მატერიალური საშუალება, გარდა საწევრო ანარიცხებისა. ამან ცალკე შეარყია მისი ავტორიტეტი. პროფკავშირი იქცა საპენსიო ასაკს მიტანებული პარტიული „მუშაკების თავშესაფრად. ისინი, ცხადია, „ზემოდან“ ინიშნებოდნენ.

● მაშ, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს პროფესიული კავშირების ხვალინდელი დღე და რამდენად რეალური საფუძველი არხებობს იმისთვის, რომ მდგომარეობა სახიკეთოდ შეიცვალოს?

— პროფკავშირი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პარტიული დიქტატისაგან. მე, მაგალითად, არც ერთი პარტიის წევრი არა ვარ, მათ შორის არც კომუნისტურისა. მრწამსით ახლოს ვდგავარ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიასთან, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, პროფკავშირი არ უნდა ექვემდებარებოდეს პოლიტიკურ ორგანიზაციებს. იგი უნდა თანამშრომლობდეს სხვადასხვა პარტიებთან, ოღონდ დამოუკიდებელი სახე არ უნდა დაკარგოს, თორემ გაუჭირდება თავისი ძირითადი ამოცანების შესრულება.

ბოლო ხანს საქართველოს პროფკავშირში მართლაც მოხდა გარკვეული სასიკეთო ცვლილებები, მიღებულია ახალი კონცეფცია და დამტკიცდება ახალი წესდება. ახლა უფრო თავისუფალი მოქმედების საშუალება მოგვეცა, უფრო თამამად შეგვიძლია მოვიხმაროთ სახსრები სოციალური დანიშნულებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზების, მათ შორის სპორტულის, მოწყობისა და აღჭურვისთვის. მინდა ისიც გითხრათ, რომ პროფკავშირულ მუშაობაში ძალზე მნიშვნელოვანია თვითონ პიროვნების როლი. გაბედულ, ინიციატივიან ადამიანს ახლა მეტის გაკეთება შეუძლია.

● ახლა უკვე კონკრეტულად მინდა გკითხოთ: დღევანდელ პირობებში რამდენად შეძლებს პროფკავშირი, სხვა საკითხებთან ერთად, ეფექტურად იზრუნოს მშრომელი ხალხისა და მათი ოჯახების წევრების ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის?

— ეს ჯერჯერობით მეტად რთული საკითხია. პირველ ყოვლისა, საჭიროა ბრძოლა, რომ პროფკავშირმა თავის ხელში დაიგულოს სახსრები სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად. უნდა შოვიპოვოთ ჩვენი საწარმოების შექმნის უფლება. პიონერული ბანაკების, სხვა მნიშვნელოვანი სოციალური ობიექტების აშენებას, სპორტული მოედნების მოწყობას სახსრები სჭირდება. მარტო პროფკავშირული ანარიცხებით საქმეს არ მოევლება.

ძალიან კარგად ვიცით, რა მდგომარეობაშია ჩვენი პიონერთა ბანაკები და სპორტული ბაზები. ისიც ნათელია, რა არის საჭირო იმისთვის, რომ მათ სრულად დააკმაყოფილონ დღევანდელი მოთხოვნები. მართალია, დღეს ყველა ჩვენგანისთვის ოჯახის გამოკვება ლამის მთავარ პრობლემად იქცა, მაგრამ ვერავინ დამაჯერებს, რომ ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, კარგად გამართულ ბაზებზე ვარჯიშს არ მოისურვებს, ან შვილს არ გაგზავნის იქ.

კიდევ ვიმეორებ, ყველაფერ ამას, პიონერთა ბანაკებსაც და სპორტულ ბაზებსაც, სჭირდება ფული, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს პროფკავშირს.

ჩვენ ახლა სწორედ კარგად გამართული ბაზები გვჭირდება და არა მშდ კომპლექსის ყალბი ნიშნოსნების არმია. ან რას ჰგავს „მასობრივი ღონისძიებები“, როდესაც ხალხი ფაქტობრივად ძალად გამოჰყავთ სპორტულ მოედნებზე. ეს ხომ მათს ჯანმრთელობას, პირიქით, აუარესებს. როგორ შეიძლება წინასწარ დაგეგმო მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა რაოდენობა?

საწარმოთა კოლექტივებში ძალზე ეფექტურად შეიძლება გამოიყენონ ტურისტული ლაშქრობები. მაგრამ აქაც წინააღმდეგობებია დასაძლევი. ნორმატივია დაწესებული — ძალიანაც რომ მოინდომოს ძირეულმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, ერთ კაცზე მანეთსა და ოც კაპიკზე მეტს ვერ დახარჯავს. დღევანდელი ნორმატივები პირდაპირ სასაცილოა. ჩემს ერთ-ერთ ამოცანად მიმაჩნია ახალი ნორმატივების შემოღებისთვის ბრძოლა. ყველა შრომით კოლექტივში უნდა იყოს სათანადო მატერიალური ბაზა. პროფკავშირს უფლება უნდა მიეცეს იჯარით აიღოს ესა თუ ის ნაგებობა, მათ შორის სპორტული ბაზა, და სათანადოდ გამოიყენოს იგი, გახსნას გამაჯანსაღებელი ჯგუფები, ხელფასი დაუნიშნოს მათს ხელმძღვანელებს და სხვა. სპორტულ-გამაჯანსაღებელ კოოპერატივზე ყველას ხომ არ მიუწვდება ხელი.

ბოლოს და ბოლოს პროფკავშირის ბიუჯეტი ხალხისაგან აკრეფილი თანხაა და ისევ ხალხს უნდა მოხმარდეს, ოღონდ ისე, როგორც ხალხს სჭირდება და არა იმგვარად, როგორც ნორმატივები ითვალისწინებს.

● რა შეიძლება გააკეთოს პროფკავშირმა სპორტის დასახმარებლად?

— ამ თვალსაზრისით მიღებულია მნიშვნელოვანი დადგენილება. ჩვენ შეგვიძლია გადავიხადოთ მუშა-მოსამსახურეთა შვილების ვარჯიშის სფასური პროფკავშირულ სპორტულ სკოლებსა და ჯგუფებში. ყველა დაინტერესებულ მშობელს შეუძლია მიაკითხოს თავის პროფკომს.

რაც შეეხება საერთაშორისო კლასის სპორტსმენებს, თითოეული მათგანი ერის სიამაყეა და საზოგადოებამ მათს მიმართ სათანადო გულისხმიერება უნდა გამოიჩინოს. სპორტი უდიდეს ფიზიკურ და მორალურ ძალებს მოითხოვს, რაც სათანადოდ უნდა იყოს დაფასებული. მორალურადაც და მატერიალურადაც. პროფკავშირი შეიძლება გახდეს მათი ერთ-ერთი სპონსორი. მე ადრე მწვრთნელადაც ვმუშაობდი, მეთოდისტადაც, ამიტომ კარგად ვიცი, რამდენ სპორტსმენს ვკარგავთ იმის გამო, რომ მათ „პატრონი არ გამოუჩნდათ.“ რატომ წავიდა მალხაზ მერმანიშვილი ბელორუსიაში, როცა იგი, რომ იტყვიან, გაფურჩქვნის ასაკში იყო? თავად მეც ფანატიკურად ვიყავი ჭიდაობაზე შეყვარებული, მაგრამ საშუალება არ მომეცა ზორცი შემესხა ჩემი მიზნებისთვის.

ჩვენ, კიდევ ვიმეორებ, შეგვიძლია მხარში ამოვუდგეთ სპორტსმენებს, მათაც, თავის მხრივ, შეუძლიათ დაგვეხმარონ შრომით კოლექტივებში ფიზკულტურისა და სპორტის პოპულარიზაციაში. ეს ურთიერთკავშირი ორმხრივ სასარგებლო იქნება.

ესაუბრა ბიორგი ჩოჩიშვილი

სპარტაკიადა აღარ ჩატარდება

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გადაწყვეტილებით, ივნისში დანიშნული სპარტაკიადა აღარ ჩატარდება. მიზეზი? ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაცია.

სპორტის ხელმძღვანელები ნოსტალგიით იგონებენ ამ კომპლექსური ღონისძიების ჩასახვას. ჩეხოსლოვაკიის პირველი სპარტაკიადა მოეწყო 1955 წელს „საბჭოთა არმიის მიერ ქვეყნის განთავისუფლების“ ათი წლისთავის აღსანიშნავად. მან შეცვალა ე. წ. „სოკოლის დღესასწაულები“, რომლებსაც საფუძველი ჯერ კიდევ 1864 წელს ჩაეყარა.

სპარტაკიადის გაუქმებასთან დაკავშირებით წარმოიშვა პრობლემა: როგორ გამოიყენონ ამიერიდან მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სტრაგოვის სტადიონი, რომელიც სპეციალურად ააშენეს ასეთი გრანდიოზული სპორტული საზაობებისთვის. შეგახსენებთ, რომ ამ გიგანტური ნაგებობის ტრიბუნები 300 ათას მაყურებელს იტევს.

დასვენების უფლებას ითხოვს

ალბათ გახსოვთ, რომ დასავლეთგერმანელმა ჩოგბურთელმა ბორის ბეკერმა უარი თქვა დევისის თასის მატჩში ჰოლანდიის გუნდის წინააღმდეგ გამოსვლაზე. ამან გფრში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ზოგმა კი ჩოგბურთელს ღალატიც დააბრალა.

გულდაწყვეტილი ბეკერი ჟურნალ „შპიგელში“ წერს: „ნუთუ ყველა გადადგა ჭკუიდან? ხალხო, მოდით, ერთმანეთს უფრო თბილად მოვეპყრათ“. ჩოგბურთელი სამართლიანად ითხოვს დასვენების უფლებას, ვინაიდან ხუთი წლის მანძილზე, ფაქტობრივად, არც ერთი ტურნირი არ გამოუტოვებია.

მიჰაელ ჰიუბნერი — პროფესიონალი

მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონი ველოსიპორტში (სპრინტი) მიჰაელ ჰიუბნერი პროფესიონალებში გადავიდა, მან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბელგიის კლუბ „ჰისტორ-სიგმასთან“. რეიტერის საგაზეთოს კორესპონდენტი, რომელიც ანტვერპენში უსაუბრა სპორტსმენს, არ ასახელებს კონტრაქტის თანხას.

ჰიუბნერმა განაცხადა, რომ იგი მხოლოდ ტრეკზე იასპარეზებს და არ გამოვა საგზატკეცილო რბოლაში. განზრახული აქვს პროფესიონალთა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ორი ოქროს მედლის მოგება — სპრინტსა და „კირინში“ (კირინი პროფესიონალთა პოპულარული სახეობაა. იგი სპრინტს ჰგავს, ოღონდ ველოსიპედისტი გარკვეულ მომენტამდე მოპედს მიჰყვება უკან).

მომავალ წელს მსოფლიო ჩემპიონატი შტუტგარტში უნდა ჩატარდეს. ჰიუბნერს დიდი სურვილი აქვს აქაც გაახაროს თავისი გულშემატკივრები.

მძიმე მოლოდინი

„აღვილი შესაძლებელია, ჯიბის ჰერკულესმა თავისი ბოლო მსოფლიო რეკორდი უკვე დაამყარა“— ასეთ შეფასებას აძლევს კორესპონდენტი 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, ცნობილი თურქი ძალოსნის ნაიმ სულეიმანოღლუს (60 კგ) დღევანდელ ფიზიკურ მდგომარეობას.

თურქეთის ტელევიზიით გამოსვლისას სპორტსმენმა განაცხადა, რომ თუ მოკლე ხანში ტრავმა არ გაუვლის, უსათუოდ დატოვებს სარბიელს. „სამი თვეა, რაც ვმკურნალობ, მაგრამ უკეთესობას ვერ ვგრძნობ. განსაკუთრებით მძიმეა ლოდინი“. იმავე გადაცემაში მონაწილეობა მიიღო ძალოსნის მკურნალმა ექიმმა სავაზ აღაოღლუმ, რომელიც არ ჰკარგავს იმედს, მაგრამ შიშს გამოთქვამს იმის გამო, რომ სპორტსმენს შეიძლება უმტყუნოს ნერვებმა.

ლენდლის ახალი კონტრაქტი

განთქმულ ჩეხოსლოვაკიელ ჩოგბურთელს, 29 წლის ივან ლენდლს, რომელიც მუდმივად ამერიკაში ცხოვრობს, დაუთმავრდა 10-წლიანი ხელშეკრულება „ადიდასთან“, ახლა მან უკვე ექვსწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი იაპონურ ფირმა „მიცუმოსთან“. ხელშეკრულების ძალით ამ 6 წლის მანძილზე ამ ფირმამ 20 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს ლენდლს.

შარის მოდგმას ჰგავს

როცა ბრაზილიელმა მწვრთნელმა მარიო ზაგალომ არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრებს ყველასათვის მოულოდნელად მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოუპოვა, ეს ამბავი ყველამ მის დიდ სამწვრთნელო ხელოვნებას მიაწერა. მაგრამ, დახეთ, თურმე ამ ნაკრების მესვეურები სულაც არ აფასებდნენ ზაგალოს. შვებულებაში მყოფმა მწვრთნელმა დუბაიდან ასეთი წერილი მიიღო: ძალიან გააჭიანურეთ თქვენი დასვენება, გუნდი უპატრონოდ დატოვეთ და უკან ნუღარ დაბრუნდებითო.

ზაგალოს ნაცვლად ახლა არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატისათვის ამზადებს პოლონეთის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ბერნარდ ბლაუტი. იგი კარგა ხანია ამ ქვეყანაში მუშაობს, ერთ-ერთ გუნდს წვრთნის და ნაკრების მომზადებაში ზაგალოსაც ეხმარებოდა. მარიო ორჯერ ლობო ზაგალო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია: ორჯერ (1958, 1962 წლებში), როგორც მოთამაშე და ერთხელ (1970) როგორც მწვრთნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-9 ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.977.187 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (43) მოგება 1.742 მანეთია, ოთხისთვის (1.805) — 49, სამისთვის (33.305) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 50.243 ვარიანტი. 6-0, 5-1, 4-48, 3-988.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 20.462,323 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (58) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (9,300) —125, სამისთვის (464,465) — 5.

საქართველოში: დაშვებულია 624.907 ვარიანტი. 5-3 (სამივე — თბილისი), 4-239, 3-7841.

მე-9 და 1989 წლის 53-ე ტირაჟიდან 1990 წლის მე-9 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 24 მარტიდან 24 აპრილის ჩათვლით.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 12 მარტს.

„სპორტპროგნოზი“, მე-11 ტირაჟის პროგრამა (16-18 მარტი)

		პროგნოზი		
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
1. „დინამო“ (მინსკი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	16.III	20	70	10
2. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ცსკა	16.III	70	20	10
3. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	17.III	50	40	10
4. „უალგირისი“ (ვილნიუსი) — „დინამო“ (მოსკოვი)	17.III	30	40	30
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში				
5. „ბარი“ (ბარი) — „ატალანტა“ (ბერგამო)	18.III	30	60	10
6. „ასკოლი“ (ასკოლი) — „ფიორენტინა“ (ფლორენცია)	18.III	20	40	40
7. „მილანი“ (მილანი) — „ინტერი“ (მილანი)	18.III	70	20	10
8. „ნაპოლორია“ (გენუა) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი)	18.III	40	30	30
9. „ლაციო“ (რომი) — „რომა“ (რომი)	18.III	30	20	50
ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში				
10. „კადიხი“ (კადიხი) — „ოსასუნა“ (პამპლონა)	18.III	40	50	10
11. „მალაგა“ (მალაგა) — „ვალიადოლიდი“ (ვალიადოლიდი)	18.III	30	60	10
12. „ხეროლა“ (ხეროლა) — „ხარაგოსა“ (ხარაგოსა)	18.III	60	30	10
13. „ატლეტიკო“ (ბილბაო) — „რეალი“ (მადრიდი)	18.III	10	30	60

რედაქტორი

თ. ბაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მარიკა“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743